დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2015 წლის 16 ივნისს N7 სხდომაზე, ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 ნოემბრის N12 სხდომის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 სხდომის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 სექტემბრის N9 სხდომის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 თებერვლის N1 სხდომის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 აგვისტოს N11 სხდომის გადაწყვეტილებითა
და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 მარტის N3 სხდომის გადაწყვეტილებით. ამ წესით ძალადაკარგულად გამოცხადდა აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის N36 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობას წარმოადგენს შესაბამის აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პირობები განისაზღვრება შესაბამისი პროგრამების დოკუმენტებით.

2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობას წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი ტესტების შედეგები. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დასრულების და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები ირიცხებიან საბაკალავრო საფეხურის აკადემიურ პროგრამებზე.

3. სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპრობას წარმოადგენს შესაბამის აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/ების შედეგების საფუძველზე. სამაგისტრო საფეხურზე აკადემიურ პროგრამებზე მიღების პირობები განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის დოკუმენტებით.

4. სადოქტორო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობას წარდმოადგენს შესაბამის აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვა შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. სადოქტორო საფეხურზე სტუდენტების მიღება მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მიხედვით და შესაბამისი პროგრამის დოკუმენტებით.

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პირის ჩარიცხვის წინაპირობაა რეგისტრაციის გავლა კანონმდებლობითა და/ან რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადასა და პირობებით.

6. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებისა და რექტორის 2015 წლის 30 აპრილის N03-697 ბრძანებით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესის“ შესაბამისად.

7. პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სტუდენტი ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი განმახორციელებელი მხარეების წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.(დამატება.4.07.2017)

მუხლი 2. სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
ბ) აკადემიური შვებულება;
გ) ერთი და მეტი სემესტრის ფინანსური დავალიანება;
დ) უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დადგენილი სწავლის საფასურის გადაუხდელობა; (ცვლილება - 30.08.2022)
ე) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როცა განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან გარდა იმ შემთხვევისა, თუკი უნივერსიტეტი შესთავაზებს სტუდენტს დისტანციურ სწავლებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
ვ) შესაბამის სემესტრში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში“ კურსებზე/კომპონენტებზე დაურეგისტრირებლობა.
ზ) 2005 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის დასრულების ოფიციალური ვადა, როცა სტუდენტს არ აქვს სრულად დაძლეული საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები და ამ წესით გათვალისწინებულ ვადაში არ მიუმართავს უნივერსიტეტისათვის სწავლის გაგრძელების თხოვნით (დამატება 20.11.2015).
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია ამ მუხლის პირველი პუნქტის მხოლოდ ბ), გ), დ), ე) ქვეპუნქტები.

3. სტუდენტის სტატუსშეჩერებულად ითვლებიან ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მეხუთე პუნქტით და მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტები.

4. პირადი განცხადებით მომართვა, მიზეზის მითითების გარეშე სტატუსის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია გააკეთოს არაუგვიანეს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან ორი კვირისა. ამ ვადის დარღვევით გაკეთებული განაცხადი არ განიხილება უნივერსიტეტის მიერ.(ცვლილება 3.02.2021)

4[1]. სადოქტორო საფეხურის სტუდენტს პირადი განცხადებით მომართვა მიზეზის მითითების გარეშე სტატუსის შეჩერების მოთხოვნის შესახებ, შეუძლია გააკეთოს ამ წესის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული მომართვის ვადის გასვლის შემდეგაც, ამ შემთხვევაში სტატუსის შეჩერების მიზანშეწონილობის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანი და წარუდგენს რექტორს.(ცვლილება 4.07.2017.)

5. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში ჩერდება სწავლის საფასურის გადაუხდელობისათვის დადგენილი საჯარიმო სანქციის მოქმედება.

6. უნივერსიტეტის ფაკულტეტები/სკოლები შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ კურსებზე/კომპონენტებზე სისტემა „არგუსის“ სარეგისტრაციო პერიოდის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ გასული და/ან მიმდინარე სემესტრის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა სიას, მათთვის სტატუსის შეჩერების მიზნით.

7. უნივერსიტეტის ფაკულტეტები/სკოლები შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ კურსებზე/კომპონენტებზე სისტემა „არგუსის“ სარეგისტრაციო პერიოდის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ იმ სტუდენტთა სიას, რომელთათვისაც სტატუსის შეჩერების უფლება წარმოიშობა ამ წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

8. უნივერსიტეტის სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც აქვს ფინანსური დავალიანება, უფლება ეძლევა ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში მიმართოს უნივერსიტეტს დავალიანების და მიმდინარე სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თხოვნით. უნივერსიტეტის თანხმობის შემთხვევაში დგება შეთანხმების ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლოა გაფრთხილების გარეშე შეუჩერდეს სტატუსი ან დაეკისროს გადაცილებულ ვადაზე გარკვეული სახის ჯარიმა.

9. გადაწყვეტილებას ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტით. ხოლო სხვა საფუძვლებით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება

ფაკულტეტის/სკოლის წარდგინების საფუძველზე, რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტით. სტატუსის შეჩერების თაობაზე გამოცემულ აქტში მიეთითება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი.

9[1] . სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება, იგი ენახება სწავლის გაგრძელების დროისათვის გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა(დამატება 20.11.2015).

10. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი, შეუძლია უნივერსიტეტში აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი ამ წესის მეორე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილ ვადებში ან ისარგებლოს მობილობის უფლებით.

11. შეჩერებეული სტატუსის აღდგენის მიზნით სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს აღდგენის შესახებ სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული პირის განცხადებას თან უნდა ახლდეს სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის ქვითარი. შემოსული განცხადებები ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტს/სკოლას დასკვნისათვის. იმ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები, რომლებიც ზემოთხსენებული ვადის დარღვევით მიმართავენ უნივერსიტეტს სტატუსის აღდგენის თაობაზე, დაკმაყოფილებული იქნება ფაკულტეტის/სკოლის რესურსების გათვალისწინებით, ფაკულტეტის/სკოლის დეკანის თანხმობის შემთხვევაში.

12. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აქტში მიეთითება, რომელი სასწავლო წლიდან და სემესტრიდან შეუძლია სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს სწავლის განახლება.

13. სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაცია აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და ბილინგის - სტუდენტთა სწავლის საფასურის და საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში; ხოლო პროფესიული სტუდენტის - პროფესიული კოლეჯების მართვის სისტემასა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში“. (ცვლილება - 30.08.2022)

მუხლი 3. სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტს სტატუსი უწყდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობისას-აკადემიური ჩამორჩენილობისას, რაც ნიშნავს, სტატუსის შეწყვეტას იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც 2005 წლამდე ჩაირიცხნენ შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და რომელთა სწავლას შესაბამის საფეხურზე აფინანსებდა სახელმწიფო, მაგრამ მათი ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის

დასრულებისა და სახელმწიფოს მიერ მათი სწავლის დაფინანსების ვადა და ამ ვადის გასვლის შემდეგ არ აქვთ სრულად დაძლეული საგანმანათლებლო პროგრამა;
გ) საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობისას-აკადემიური ჩამორჩენილობისას, რაც განისაზღვრება უნივერსიტეტის ფაკულტეტის/სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წესით და რომელიც შეთანხმებულია აკადემიურ საბჭოსთან.
დ) სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებისას, რომელსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის წესდებისა და სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
ე) გარდაცვალების გამო;
ვ) სტუდენტის სტატუსის ჯამში 5 წლის განმავლობაში შეჩერების შემდეგ, ხოლო დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამა) სტუდენტისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 2 წლის შემდეგ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (ცვლილება 4.07.2017. ცვლილება 28.03.2024)

ზ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის/ მინიჭების გამო;

თ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის გამო;

ი) სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს ამ მუხლის პირველ პუნტის ა), გ), დ), ე), ვ), ზ), თ) საფუძვლების დადგომის შემთხვევაში და ასევე აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, რაც გულისხმობს სემესტრის განმავლობაში ორი ან ორზე მეტი სასწავლო კურსის დაუძლევლობას.

3. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი უწყდება ამ მუხლის პირველი პუნქტის მხოლოდ ა), გ), დ), ე), ვ), ზ), თ) ქვეპუნქტებისა და ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების საფუძველზე:
ა) თუ პროფესიულ სტუდენტს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვიდან პროგრამის ოფიციალური ვადის დასრულების დროს სრულად არ ექნება დაძლეული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსები.
ბ) თუ სტუდენტის ქმედებამ მატერიალურად მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა უნივერსიტეტს.
3[1]. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის(პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა) სტუდენტს/ პროფესიულ სტუდენტს, რომელთაც შეჩერებული აქვთ სტატუსი და სტატუსის შეჩერებიდან გასულია 2 ან მეტი წელი, შეუძლია არაუგვიანეს 2017 წლის 18 სექტემბრისა მომართოს უნივერსტეტის 2017-2018 წლის შემოდგომის სემესტრიდან სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადებით. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის(პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა) იმ სტუდენტს/ პროფესიულ სტუდენტს, რომლის სტატუსის აღდგენაც არ მოხდება 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის და მისი სტატუსის შეჩერებიდან

გასულია 2 ან მეტი წელი, შეუწყდებათ პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსი.(დამატება 4.07.2017.)

4. ის სტუდენტები, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიაშია და რომელთა შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება ფაკულტეტებზე/სკოლებში, უნივერსიტეტის არქივში, ჩაითვალონ საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის გამო სტატუსშეწყვეტილებად.

5. სტუდენტის, გარდა პროფესიული სტუდენტისა სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და ის უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

6. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სტატუსშეწყვეტილ სტუდენტს დეპოზიტად არსებული თანხის სტუდენტის მიერ გადახდილი წილი უკან უბრუნდება სრულად.(ცვლილება 21.09.2020).

8. იმ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ამ წესის მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან (დამატება: 28.03.2024).

მუხლი 4. გადასვლის/მობილობის წესით ჩარიცხვა

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებისა და უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

2. უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე. (ცვლილება - 30.08.2022).

2[1]. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა ერთი საფეხურის ფარგლებში მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" (შემდგომში – დებულება) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით

ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;
ბ) (ამოღებულია: 28.03.2024);
გ) „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე (ცვლილება - 30.08.2022, ცვლილება - 28.03.2024).

3. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლება ქვეყნდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში, სასწავლო ბარათი და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები, ასევე რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტები. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში განცხადებით არ მიმართავს მას, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე/სკოლაში ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (ცვლილება - 30.08.2022)

4. მობილობის მსურველი პირის განცხადების მიღების შემდეგ უნივერსიტეტის ფაკულტეტი/სკოლა რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ (შესაბამისი სარეკომენდაციო ფორმა თან ერთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესს) და ატყობინებს მობილობის მსურველს. მობილობის მსურველის მიერ ფაკულტეტის/სკოლის შესაბამისი საგანამანთლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ წერილობითი თანხმობის, კრედიტების აღიარების დასკვნაზე ხელმოწერისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე უნივერსიტეტის ფაკულტეტი/სკოლა ამ პირთა სიასა და აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს რექტორს ბრძანების პროექტის მოსამზადებლად და გამოსაცემად.

5. უნივერსიტეტს უფლება აქვს გასაუბრების, გამოცდის ან სხვა კრიტერიუმის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

6. აღიარება ფორმდება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული მიმდინარე პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. აღიარების დასკვნა ხელმოწერილი უნდა იყოს

ფაკულტეტის/სკოლის და სტუდენტის მიერ.

7. უნივერსიტეტი ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და პროექტსა და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, განათლების მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ბრძანების პროექტზე მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, შემოდგომის სემესტრისთვის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, ხოლო გაზაფხულის სემესტრისთვის არაუგვიანეს 1 მარტისა, გამოიცემა ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. (ცვლილება - 30.08.2022).

8. ეს მუხლი არ ვრცელდება პროფესიულ სტუდენტებზე.

მუხლი 5. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც დგინდება შიდა მობილობის მსურველთა რეგისტრაციის ვადები და პირობები.

2. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში – დებულება) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ბ) (ამოღებულია - 28.03.2024);

გ) „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე. (ცვლილება - 30.08.2022, ცვლილება: 28.03.2024).

3. შიდა მობილობის მსურველი პირის განცხადების მიღების შემდეგ უნივერსიტეტის ფაკულტეტი/სკოლა რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ადგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ და ამის შესახებ ატყობინებს მობილობის მსურველს. შიდა მობილობის მსურველის მიერ წერილობითი თანხმობის საფუძველზე უნივერსიტეტის ფაკულტეტი/სკოლა შესაბამის სტუდენტთა სიასა და აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს რექტორს ბრძანების გამოსაცემად.

3[1]. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი ვერ ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამას და გაუქმების გადაწყვეტილება არ ემთხვევა შიდა მობილობის განსაზღვრულ ვადებს სტუდენტების გადაყვანა მომიჯნავე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და ერთი ფაკულტეტიდან/სკოლიდან

სხვა ფაკულტეტზე/სკოლაში ხდება რიგგარეშე შიდა მობილობით, გამარტივებული წესით. რიგგარეშე შიდა მობილობის შემთხვევაში სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჭიროა სტუდენტის თანხმობა, სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში დარგობრივი კომისიის დასკვნა პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესაბამისობის შესახებ, სხვა საგანმანათლებლო საფეხურების შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა და ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინება უნივერსიტეტის რექტორისადმი. (ცვლილება - 30.08.2022)

4. ამოღებულია- 30.08.2022.